

## სავარჯიშო 4

### “Toolboxes”-ის გამოყენება

რა არის “Toolboxes”, როგორ უნდა გამოვიყენოთ იგი “ArcMap”-სა და “ArcCatalog”-ში. ჩვენი საკუთარი “Toolboxes”-ის შექმნა, სისტემური იარაღების დამატება.

### შესავალი

ამ სავარჯიშოში ჩვენ გავეცნობით “ArcGIS”-ის სპეციალურ ფუნქციას-“Toolboxes”, იგი ჩვენ დაგვეხმარება განვახორციელოთ სხვადასხვა სახის ოპერაცია, რაც დაგვჭირდება მომავალ სავარჯიშოებში. აქამდე ჩვენ ვიყენებდით დილაკებს და მენიუს “ArcGIS”-ის ფუნქციების გამოსაყენებლად. “Toolboxes”-ის ფუნქციები გაცილებით დიდ შესაძლებლობებს გვაძლევს. მისი დახმარებით შეგვიძლია განვახორციელოთ ყველა ოპერაცია და ასევე შეგვიძლია დავამატოთ დამატებითი ფუნქციები.



- გამოვიყენოთ სისტემური იარაღი “Create Personal GDB”, ახალი გეომონაცემთა ბაზის შესაქმნელად.
- შევქმნათ ახალი სამომხმარებლო “toolboxe” ამ გეომონაცემთა ბაზაში;
- დავამატოთ “toolset” სახელად-“Project A”;
- დავამატოთ სისტემური იარაღი “Intestect” ---“toolset” –ში;
- შევამოწმოთ რომ ჩვენს მიერ შექმნილი “toolboxe” გამოჩნდეს “toolboxe”-ის სიაში;

### რა არის “toolboxes”


გავხნათ “ArcMap” ახალი დოკუმენტი;

ჩვენ არ გვჭირდება რომ დავამატოთ მონაცემები ამ შემთხვევაში;

გავხნათ “toolboxes”;



“Toolboxes” შედგება სხადასხვა “toolsets” და “tools”-გან; მაგალითად თუ გავხსნით “Data Management Tools”, დავინახავთ, რომ იგი შედგება სხადასხვა “toolsets” და “tools”- გან;



კითხვა:

რამდენი იარაღისგან შედგება “Topology Toolset”?


მრავალი იარაღის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ “ArcGIS”-ის ფუნქციები;

გავხსნათ “Data Management Tools”----“Workspace toolset”---“Create Personal GDB”;

“output location”-ში მიუთითოთ მისამართი, სადაც გვინდა რომ შევინახოთ ახალი გეომონაცემთა ბაზა;

აგრეთვე შევიტანოთ სახელი ამ გეომონაცემთა ბაზისთვის:”ToolGDB”;

“Ok”;



პროგრეს ფანჯარა გაიხსნება, რომელიც გვაჩვენებს დამთავრდა თუ არა პროცესი.



დაველოდოთ სანამ დამთავრდება პროცესი და დავხუროთ ფანჯარა;

ჩვენ შეგვიძლია შევამოწმოთ "ArcCatalog"-ში შევქმენით თუ არა ახალი გეომონაცემთა ბაზა;

## მოძებნოთ იარაღები

“ArcToolbox” შედგება ასობით იარაღისგან, ეს რიცხვი დამოკიდებულია ჩვენს ლიცენზიაზე (“ArcView”, “ArcEditor”, “ArcInfo”), ასევე გაფართოებებზე, რომლებიც ჩვენთვის არის ხელმისაწვდომი (“Spatial Analyst”, “3D Analyst” ....) იარაღების დიდი რაოდენობა ართულებს მათი მოძებნის პროცესს. “Toolbox” -ის ფანჯარა შედგება სამი სხვადასხვა სვეტისგან: “Favorites”, “Index”, “Search”;



## მოძებნოთ იარაღი “Index tab”-ის გამოყენებით

მოვნიშნოთ “Index tab”;

ავკრიფოთ მაგალითად: “Create Per....”

მოვნიშნოთ ლილაკი “Locate”, რის შემდეგ ამ კონკრეტული იარაღის ზუსტ ადგილმდებარეობას მივაგნებთ;

მოძებნოთ შემდეგი იარაღები იგივე მეთოდის გამოყენებით  
“Search tab”-ს აქვს მოძებნის უფრო მეტი შესაძლებლობა;


“Create feature class”;

“Add field”;

“Intersect”;

## შევქმნათ ჩვენი საკუთარი “Toolbox”

ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ ახალი “Toolbox”,თუ დავაწკაპებთ მარჯვენა ღილაკს “Toolbox”-ის ფანჯარაში და მოვნიშნავთ “new toolbox”-ს;



ჩვენი “Toolbox” იქნება განთავსებული როგორც “.tbx “ ფაილი საქალაქდებში “MyToolboxes”. ის აგრეთვე შეიძლება განთავსებული იქნას გეომონაცემთა ბაზაში.

## შევქმნათ ახალი “Toolbox” გეომონაცემთა ბაზაში


ჩვენ შევქმნით ახალ “Toolbox”-ს გეომონაცემთა ბაზაში,ჩვენი საკუთარი სასელით. ამ “Toolbox”-ს განვთავსებთ გეომონაცემთა ბაზაში, რომელიც ჩვენ ამ სავარჯიშოში შევქმენით.ამისათვის იგი უნდა შევქმნათ “ArcCatalog”-ში.

გავხსნათ “ArcCatalog”;

მოვნიშნოთ გეომონაცემთა ბაზა,რომელიც ჩვენ შევქმენით(ToolGDB);

მარჯვენა ღილაკით დავაწკაპოთ და მენიუში მოვნიშნოთ “New”—“Toolbox”;

შევუცვალოთ სახელი და დავარქვათ “Mytools”;




### იარაღების დამატება

“Toolbox” რომელიც ჩვენ შევქმენით ცარიელია.არსებობს ორი სხის იარაღები: სისტემური და სამომხმარებლო.სისტემური იარაღები--რომლებიც უკვე არსებობს “Toolbox”-ში. მიზეზი იმისა თუ რატომ ვათავსებთ სისტემურ იარაღებს სამომხმარებლო “Toolbox”-ში, არის ის,რომ ეს იარაღები მოვათავსოთ ერთად. ასევე შეგვიძლია დავამატოთ ახალი იარაღები(შევქმნათ ჩვენ თვითონ) .ეს სამომხმარებლო იარაღები შეიძლება იყოს მოდულები,სკრიპტები ან


იარაღები, რომლებიც შეგვიძლია შევქმნათ “ArcObjects”-ში. ამ ეტაპზე ჩვენ მხოლოდ სისტემურ იარაღებს შევხებით.

მოვნიშნოთ ჩვენს მიერ შექმნილი “Toolbox”;  
მარჯვენა ღილაკით დავაწკაპოთ და მოვნიშნოთ “New”---“Toolset”;




“Toolset”-ს შევუცვალოთ სახელი-“ProjectA”;  
მოვნიშნოთ იგი და მენიუს ფანჯრიდან მოვნიშნოთ “Add”---“Tool...”;





მენიუდან მოვნიშნოთ შემდეგი იარაღები: “Analysis tools”-“Overlay”- “Intersect”;



თქვენ შეგიძლიათ დაამატოთ სხვა იარაღებიც.

## ვაჩვენოთ “Toolbox”

თუ კარგად დავაკვირდებით “Toolbox”-ის ფანჯარას, დავინახავთ, რომ ჩვენს მიერ შექმნილი იარაღები არ არის დამატებული.

მოვნიშნოთ ჩვენს მიერ შექმნილი “Toolbox” ,მარჯვენა ღილაკით  
დავაწკაპოთ და მოვნიშნოთ “Add to Arctoolbox”;

*დავალება:*

*შევქმნათ ახალი “Toolbox”, სახელად-“Challenge Tools” და დავამატოთ შემდეგი იარაღები: “Feature Claas to Shapfile”, “buffer”, “frequency statistics”.*

## დასკვნა

ამ სავარჯიშოში ჩვენ გამოვიყენეთ “ArcToolbox” ფანჯარა. ეხლა ჩვენ შეგვიძლია:  
გამოვიყენოთ სისტემური იარაღები;  
შევქმნათ ახალი სამომხმარებლო-:“Toolset”;  
დავამატოთ სისტემური იარაღები სამომხმარებლო-“Toolset”-ს;  
გამოვაჩინოთ იგი “ArcToolbox” -ის ფანჯარაში;